

## გეგმა-აქტივობები / 2014-2015 სასწავლო წელი/

### გეგმა

1. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია.
2. ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა
3. სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების შექმნა-განხორციელება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი შევსება/სრულყოფა/აღჭურვა:
  - ა. დამატებით სასწავლო კორპუსის აუცილებლობა
4. სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების ხელშეწყობა
5. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემდგომი დახვეწა/შემუშავება

### გეგმა:უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია.

**დაგეგმილი აქტივობა:** სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები მოითხოვს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მხრიდან უცხო ენის ცოდნას, შესაბამისად უცხო ენათა ცენტრის მუშაობის გააქტიურება, აუცილებლად მიგვაჩნია აღნიშნული პროგრამების ეფექტურად განხორციელების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისურენოვანი კურსების დამატება, რაც გულისხმობს უკვე არსებული პროგრამების ფარგლებში შეთავაზებული კურსების ორივე ენაზე (ქართული და ინგლისური) განხორციელებას. სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და სტრატეგიული განვითარების გზა გულისხმობს, შესაბამისი ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნას სტუდენტებისა და დაინტერესებული პირებისათვის, რაც მოითხოვს სასწავლო უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის მშენებლობის აუცილებლობას./მიმდინარეობს მშენებლობა/. გაგრძელდეს აქტიური მუშაობა ექსპერტებისა და პროფესორ მასწავლებლების მოსაწვევად პარტნიორი უნივერსიტეტებიდან პროგრამებში ინგლისურენოვანი კურსების/მოდულების გაზრდისა და შრომათა კრებულების დარგობრივი რედაქტირების მიზნით. ტემპუსის PICASA-ს პროექტის ფარგლებში პერსონალის გადამზადება, სამოქმედო გეგმის შემუშავება და აქტივობების განხორციელება ეტაპობრივად. ინგლისურენოვანი პროგრამის/მოდულების შემუშავება და აკრედიტაციისთვის მზადება.

### გეგმა:ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა

**დაგეგმილი აქტივობა:** ბაზრის კვლევა, მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, აუცილებელია სასწავლო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების არჩევანი რეგიონის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, რაც გულისხმობს ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განხორციელებას. ახალი საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივ მონიტორინგსა და მოდიფიცირებას შეფასების ახალი სისტემის შესაბამისად.

### გეგმა: სასწავლო უნივერსიტეტის დამატებით სასწავლო კორპუსის აუცილებლობა

**დაგეგმილი აქტივობა:** სასწავლო უნივერსიტეტის ქალაქგარეთ მდებარეობა, შესაბამისად ტრანსპორტის მოუქნელი გრაფიკი, სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა სხვადასხვა საფეხურზე, სასწავლო პროცესით დღის სრული დატვირთვა, შესაბამისად აუდიტორიების სიმცირე არის ის მიზეზები, რამაც შესაძლებელია შეაფერხოს პროგრამებისა და შესაბამისად კონტინგენტის ზრდასთან ერთად სასწავლო პროცესის ხარისხიანი განხორციელება.

მიზანშეწონილად ვთვლით დაიწყოს მუშაობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით.

**გეგმა: სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების ხელშეწყობა**

**დაგეგმილი აქტივობა:** დაიგეგმოს კომპლექსური ღონისძიებები მისი სამომავლო განვითარებისა და წინსვლის თვალსაზრისით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გაააქტიურებს მუსაობას და კომუნიკაციას საერთაშორისო ურთიერთობების გადრმავების მიზნით. აუცილებელია სასწავლო უნივერსიტეტი ჩაერთოს ახალი ერასმუს+ საგრანტო კონკურსში. აღნიშნული კონკურსი სიახლეა მთელს ევროპაში და გულისხმობს საიმედო და სანდო პარტნიორების საშუალებით ახალი მემორანდუმებისა და ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმებას ევროპული ქვეყნების უნივერსიტეტებთან. ერასმუს+ პროგრამა გულისხმობს ორმხრივ თანამშრომლობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას თანაბარი შესაძლებლობის უნივერსიტეტებს შორის. აუცილებელია, სასწავლო უნივერსიტეტი გამოიყენოს ყველა ის რესურსი, რაც დღემდე არსებული საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში გააჩნდა, რათა მოიძიოს ყველა გზა ახალი ერასმუს+ პროგრამაში აქტიურად ჩართვისთვის, რომლის ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტი ევროპული სტანდარტების შესაბამისად ხელს შეუწყობს მობილობის, ორმაგი ხარისხების, აკადემიური და ინსტიტუციური შესაძლებლობის განვითარებას.

განვითარების კომპლექსური გზა გულისხმობს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობას, როგორცაა: ბიბლიოთეკის მომარაგება უახლესი ლიტერატურითა და შესყიდვების განხორციელება აღნიშნული მიმართულებით, მემორანდუმების გაფორმება დამსაქმებელთან, რეგიონის მოთხოვნებისა და ცვალებადი შრომის ბაზრის საჭიროებების მუდმივი დადგენა. ახალი სასწავლო კურსები, უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრის სრული დატვირთვა, სტუდენტური კარიერული განათლების უზრუნველყოფის მიზნით კარიერის ცენტრის მუდმივი ხელშეწყობა, სამეცნიერო შრომათა კრებულების ბეჭდვისა და გამოცემის შემდგომი უზრუნველყოფა.

**გეგმა: ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემდგომი დახვეწა/შემუშავება**

**დაგეგმილი აქტივობა:**

„დაგეგმე-განხორციელე-შეამოწმე-იმოქმედე „- ციკლის ფარგლებში საქმიანობების განხორციელება: გამოკითხვები, სწავლა-სწავლების მუდმივი მონიტორინგი, რეგიონის საჭიროებების დადგენა, დამსაქმებლებთან ურთიერთთანამშრომლობის შემდგომი სრულყოფა და მათი მეტი ჩართულობა პროგრამების შემუშავებაში, ცოდნისა და კვლევის ხარისხის ამაღლება ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.